

ქართული თეატრი

2024





კულტურის სამინისტრო

კვლევა განხორციელდა საქართველოს კულტურის
სამინისტროს დაკვეთითა და მხარდაჭერით

ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

თამთა ქაჯაია, თეატრმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

ზურაბ ნემსაძე, თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ილუსტრაციების ავტორი: **ნინო (ნუცა) კობაიძე**
დაკაბადონება: **ეკატერინე ოქროპირიძე**

კვლევა ეყრდნობა თეატრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას



© საქართველოს კულტურის სამინისტრო, 2025

© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი, 2025

სარჩევი

ქართული თეატრი სტატისტიკაში	5
გასტროლების რეიტინგი	8
დრამატურგია	10
პრემიერების და სარეპერტუარო სპექტაკლების რეიტინგი	12
დაფინანსების წყაროები	16
გაყიდული ბილეთების რეიტინგი	19
დამსწრე მაყურებლის რეიტინგი	21
თეატრების მუშაობის რეიტინგი	23
ლიდერი სპექტაკლების რეიტინგი	29
კროდუქტიული ხელოვანები	31
სტატისტიკური ანალიზი თეატრების მიხედვით	35

კვლევაში მონაწილე თეატრების სია

1. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრი
 2. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 3. თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
 4. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი
 5. თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
 6. რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი
 7. ჩრდილების სახელმწიფო თეატრი „ბუდრუგანა გაგრა“
 8. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი
 9. თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი
 10. თბილისის ამერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი
 11. თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი
 12. ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი
 13. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 14. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 15. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 16. ფოთის ვალერიან გუნიაშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 17. ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი
 18. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 19. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი
 20. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 21. ზესტაფონის უმანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი
 22. გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 23. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი
 24. ახალციხის (მესხეთის) თეატრი
 25. ახალციხის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი
 26. დმანისის ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 27. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
 28. გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი
- კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 28 თეატრი, მათ შორის, 5 თოჯინური, 1 მარიონეტების, 1 ჩრდილების, 1 ოპერისა და ბალეტის, 1 საბავშვო-საყმაწვილო და 19 დრამატული თეატრი.

კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 28 თეატრი, მათ შორის, 5 თოჯინური, 1 მარიონეტების, 1 ჩრდილების, 1 ოპერისა და ბალეტის, 1 საბავშვო-საყმაწვილო და 19 დრამატული თეატრი.

28 თეატრიდან 12 დედაქალაქის თეატრია, ხოლო 16 რეგიონული.

კვლევა ეფუძნება 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე მონაცემებს.



კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა.





2024 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს 28 თეატრში შედგა 97 პრემიერა, მათ შორის დედაქალაქის თეატრში 38, რეგიონის თეატრებში 59.

2024 წლის მონაცემებით, საქართველოს 28 თეატრის რეპერტუარში 352 მოქმედი სარეპერტუარო სპექტაკლია, მათ შორის, 175 დედაქალაქის თეატრებში, 177 რეგიონის თეატრებში.

2024 წელს, საქართველოს 28 თეატრმა წლის განმავლობაში წარმოადგინა 2 727 სპექტაკლი, მათ შორის 1 758 დედაქალაქის, 969 რეგიონის თეატრებში.



2024 წელს, საქართველოს 28 თეატრში წარმოდგენილ 399 948 სპექტაკლს დაესწრო მაცურებელი, მათ შორის დედაქალაქში 309 947, ხოლო რეგიონში 90 001 მაცურებელი.




2024 წელს, საქართველოს 28 თეატრმა წლის განმავლობაში გაყიდა 349 556 ბილეთი, მათ შორის 285 249 დედაქალაქის, 64 307 რეგიონის თეატრებმა.



2024 წელს 28 თეატრიდან ქვეყნის შიგნით გასტროლებზე არ ყოფილა 6 თეატრი, მათ შორის 4 დედაქალაქის, ხოლო 2 რეგიონის. ეს თეატრებია: თბილისის ოპერისა და ბალეტის, ვასო აბაშიძის, მარიონეტების, გრიბოედოვის, სომხური, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის, სენაკის თეატრები. 28 თეატრიდან 21 თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს 35 გეოგრაფიულ პუნქტში და ამ გასტროლების ფარგლებში მათ გამართეს 123 წარმოდგენა, მათ შორის, დედაქალაქის თეატრებმა რეგიონებში ითამაშეს 63 წარმოდგენა, ხოლო რეგიონის თეატრებმა დედაქალაქსა და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში სულ 60 წარმოდგენა გამართეს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს თეატრები ყველაზე ხშირად სტუმრობდნენ თბილისს (8-ჯერ), ბათუმს, გორს და ზესტაფონს (6-ჯერ), სენაკს, საჩხერეს, რუსთავსა და ქუთაისს (4-ჯერ).

გასტროლები ქვეყნის შიგნით 2024



გასტროლები ქსოეფი



2024 წელს საქართველოს 28 თეატრიდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ არყოფილა დედაქალაქის 5 (მათ შორის, რუსთაველის ეროვნული, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის კინომსახიობთა, მარიონეტებისა და ჩრდილების თეატრები) და რეგიონის 9 თეატრი (მათ შორის, თელავის, გურჯაანის თოჯინების, დმანისის, გორის, ახალციხის თოჯინების, ქუთაისის ოპერის, ქუთაისის დრამატული, ზესტაფონისა და ჭიათურის დრამატული თეატრები).


2024 წელს საქართველოს 28 თეატრიდან 14 საგასტროლოდ იმყოფებოდა ორ კონტინენტზე – ევროპისა და აზიის 13 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, გერმანია, დანია, ესტონეთი, იტალია, მოლდოვა, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ჩინეთი. 14 თეატრმა ჯამში 31 წარმოდგენა გამართა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის 21 დედაქალაქის თეატრიდან, ხოლო 10 რეგიონის თეატრებმა.

ყველაზე ხშირად ქართული თეატრები სტუმრობდნენ საფრანგეთს (7-ჯერ), ყაზახეთს (4-ჯერ), სომხეთს (3-ჯერ), საბერძნეთსა და ჩინეთს (2-ჯერ).

გასტროლები საზღვარგარეთ



გასტროლები საზღვარგარეთ 2024






2024 წლის მონაცემებით დრამატურგიის მიმართ ინტერესი ასე გამოიყურება.

თანამედროვე ქართული დრამატურგია - 33


თანამედროვე უცხოური დრამატურგია - 17

ქართული კლასიკური დრამატურგია - 23


მსოფლიო კლასიკური დრამატურგია - 24



დრამატურგია - დედაქალაქი 2024



დრამატურგია - რეგიონი 2024







პრემიერების რეიტინგი

კვლევაში ჩართული 28 თეატრიდან 25 თეატრში გაიმართა 97 პრემიერა. 3 თეატრში პრემიერა არ გამართულა. 25 თეატრიდან თბილისის 10 თეატრში 38 პრემიერა გაიმართა, 2 თეატრში კი პრემიერა არ გამართულა. 16 რეგიონის თეატრიდან 1 ში არ გამართულა არც ერთი პრემიერა, ხოლო 15 თეატრში 59 პრემიერა შედგა.


პრემიერების რეიტინგი 2024 (საქართველო)



პრემიერების რეიტინგი 2024 (თბილისი)



პრემიერების რეიტინგი 2024 (რეგიონები)




სარეჟისურო სპექტაკლები




რეპერტუარის რეიტინგი


კვლევაში ჩართული 28 თეატრიდან 27 თეატრის რეპერტუარში 343 სპექტაკლია. თბილისის 12 თეატრის რეპერტუარში 175 სპექტაკლია, ხოლო რეგიონის 16 თეატრში 168 სპექტაკლია.



რეპერტუარში არსებული სპექტაკლების რეიტინგი - თბილისი - 2024



რეპერტუარში არსებული სპექტაკლების რეიტინგი - რეგიონი - 2024



დაფინანსების წყაროები



დაფინანსება


საქართველოს კულტურის სამინისტრომ, მასზე დაქვემდებარებულ 28 თეატრში, 2024 წელს, დააფინანსა 36 პროექტი (10 თბილისში, 26 რეგიონში), რამაც ჯამში შეადგინა 516 942,95 ლარი. მათგან 126 670 ლარი დაიხარჯა დედაქალაქზე, ხოლო 390 272,95 ლარი რეგიონზე. 28 თეატრიდან 7 თეატრს არ მიუმართავს სამინისტროსთვის დაფინანსების მიზნით.

რაც შეეხება მუნიციპალურ დაფინანსებას: 2024 წელს დედაქალაქის 12 თეატრიდან, მერიის დაფინანსება ერგო მხოლოდ 2 თეატრს და ჯამში 4 პროექტი დაფინანსდა 28 010 ლარით. რეგიონის 16 თეატრიდან მუნიციპალური დაფინანსება მიიღო 5 თეატრმა, დაფინანსდა 11 პროექტი (სპექტაკლი), რაზეც დაიხარჯა 124 248 ლარი.


დედაქალაქის 12 თეატრმა საკუთარი სახსრებით განახორციელა 27 სპექტაკლი და შეძლო 861 945 ლარის მოძიება. ხოლო რეგიონის 16 თეატრიდან საკუთარი სახსრებით 10-მა თეატრმა დადგა 34 სპექტაკლი და მოახდინა 295 552 ლარის მობილიზება.



ჯამში, 2024 წელს, 25 თეატრის სადადგმო ხარჯებმა 1 826 697 ლარი, ხოლო შემოსავალი 28 თეატრში ჯამში 5 612 468 ლარი გახლდათ (მათ შორის, დედაქალაქის თეატრების 2 557 922 ლარი, რეგიონების 3 054 546 ლარი).


დაფინანსება 2024



შემოსავალი
საქართველოს თეატრები 2024









გყიდული ბილეთები




გაყიდული ბილეთები - საქართველო 2024



გაყიდული ბილეთები - რეგიონი 2024




გაყიდული ბილეთები - თბილისი 2024







დამსწრე მაყურებელი - საქართველო 2024




დამსწრე მაყურებელი - თბილისი 2024




დამსწრე მაყურებელი - რეგიონი 2024



წარმოდგენების რაოდენობა წელიწადში



წარმოდგენების რაოდენობა 2024



წარმოდგენების რაოდენობა
■ დედაქალაქი ■ რეგიონი ■ სულ

**თეატრების სტაბილური ფუნქციონირების რეიტინგი
წარმოდგენების რაოდენობის გაპაროვის მიხედვით 2024**

იდუალური დატვირთვა 200- 250 წარმოდგენა წელიწადში	აქტიური თეატრი 150-200 წარმოდგენა წელიწადში	დინამიკური თეატრი 100-150 წარმოდგენა წელიწადში	სტაბილური თეატრი 70-100 წარმოდგენა წელიწადში
მზარდ მაყურებელთა თეატრი 559	ვასო აბაშიძის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი 186	თბილისის კოტე მარჯანიშვილის თეატრი 134	გრიბოედოვის რუსული დრამატული თეატრი 90
თბილისის მარიონეტების თეატრი 255	ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას თეატრი 152	შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრი 108	ბორჯომის თოჯინების თეატრი 80
ქუთაისის თოჯინების თეატრი 249		თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი 122	ახალციხის თოჯინების თეატრი 71
თბილისის თოჯინების თეატრი 230			

**თეატრების სტაბილური ფუნქციონირების რეიტინგი
წარმოდგენების რაოდენობის გაპაროვის მიხედვით 2024**

პასიური თეატრი 40-70 წარმოდგენა წელიწადში	არასტაბილური თეატრი 40-20 წარმოდგენა წელიწადში	გაჩერებული თეატრი 20-10 წარმოდგენა წელიწადში
გორის გიორგი ერისთავის დრამატული თეატრი 70	მესხეთის (ახალციხის) დრამატული თეატრი 37	ცხინვალის ივანე მაჩაბლის დრამატული თეატრი 16
ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი 67	თელავის ვაჟა- ფშაველას დრამატული თეატრი 30	ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის დმანისის თეატრი 16
ფოთის ვალერიან გუნიას თეატრი 58	ზესტაფონის უმანგი ჩხეიძის თეატრი 29	თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრი 15
ზუგდიდის შალვა დადიანის თეატრი 44	ჭიათურის აკაკი წერეთლის თეატრი 20	ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული თეატრი 11
სენაკის აკაკი ხორავას დრამატული თეატრი 43		ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 2
ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი“ 32		გურჯაანის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი 1

თეატრების სტაბილური ფუნქციონირებისა და მაცურებელთა ინტერესის რეიტინგი



საქართველო - 2024 წლის დარგების დამკვირვებლობა

1. მარიონეტების თეატრი - 100%
2. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი - 97%
3. ახალი თეატრი - 89%
4. თელავის თეატრი - 88%
5. ოზურგეთის თეატრი - 86%
6. ქუთაისის თოჯინების თეატრი - 81%
7. თბილისის თოჯინების თეატრი - 80%
8. მოზარდ მაცურებელთა თეატრი - 79%
9. გორის თეატრი - 76%
10. ფოთის თეატრი - 76%
11. მარჯანიშვილის თეატრი - 66%
12. ბორჯომის თოჯინების თეატრი - 57%
13. გრიბოედოვის თეატრი - 59%
14. ზესტაფონის თეატრი - 52%
15. მესხეთის (ახალციხის) თეატრი - 51%
16. ჩრდილების თეატრი - 50%
17. ზუგდიდის თეატრი - 49%
18. ქუთაისის მესხიშვილის თეატრი - 48%
19. ახალციხის თოჯინების თეატრი - 45%
20. სენაკის თეატრი - 44%
21. რუსთაველის ეროვნული თეატრი - 40 %
22. გურჯაანის თოჯინების თეატრი - 0%

- 23. სომხური თეატრი - 36%
- 24. ჭიათური თეატრი - 30%
- 25. აზერბაიჯანული თეატრი - 0%
- 26. დმანისის თეატრი - 0%
- 27. ცხინვალის თეატრი - 0%
- 28. ქუთაისის ოპერა - 0%

დედაქალაქი

- 1. მარიონეტების თეატრი - 100%
- 2. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი - 97%
- 3. ახალი თეატრი - 89%
- 4. თბილისის თოჯინების თეატრი - 80%
- 5. მოზარდ მაყურებელთა თეატრი - 79%
- 6. მარჯანიშვილის თეატრი - 66%
- 7. გრიბოედოვის თეატრი - 59%
- 8. ჩრდილების თეატრი - 50%
- 9. რუსთაველის ეროვნული თეატრი - 40 %
- 10. სომხური თეატრი - 36%
- 11. აზერბაიჯანული თეატრი - 0%
- 12. ცხინვალის თეატრი - 0%

რეგიონები

- 1. თელავის თეატრი - 88%
- 2. ოზურგეთის თეატრი - 86%
- 3. ქუთაისის თოჯინების თეატრი - 81%
- 4. გორის თეატრი - 76%
- 5. ფოთის თეატრი - 76%
- 6. ბორჯომის თოჯინების თეატრი - 57%
- 7. გესტაფონის თეატრი - 52%
- 8. მესხეთის (ახალციხის) შთეატრი - 51%
- 9. ზუგდიდის თეატრი - 49%
- 10. ქუთაისის მესხიშვილის თეატრი - 48%
- 11. ახალციხის თოჯინების თეატრი - 45%
- 12. სენაკის თეატრი - 44%
- 13. ჭიათური თეატრი - 30%
- 14. დმანისის თეატრი - 0%
- 15. ცხინვალის თეატრი - 0%
- 16. ქუთაისის ოპერა - 0%

თეატრის დატვირთვის კვლევა ემყარება შემდეგ მონაცემებს:

1. დარბაზში ადგილების რაოდენობას, სადაც გათვალისწინებულია, როგორც დიდ თეატრებში სხვადასხვა დარბაზში ადგილების სხვადასხვა რაოდენობა, ისე ცალკეულ სპექტაკლების სპეციფიკა (მაგ. „ჟოლო“ მარჯანიშვილის დიდ სცენაზეა დადგმული, მაგრამ მხოლოდ 120 მაყურებელზეა გათვლილი)
2. სპექტაკლების რაოდენობას წლის განმავლობაში
3. მაყურებლის საერთო რაოდენობას წლის განმავლობაში

პროცენტი ითვლება ჩვეულებრივ ფორმულით:

$$Y * 100 / X$$

სადაც



X არის პოტენციური მაყურებლის რაოდენობა, ანუ რამდენი მაყურებლის დატევის შესაძლებლობა არსებობს წლის განმავლობაში. ამის გამოსათვლელად სპექტაკლების რაოდენობა მრავლდება დარბაზში არსებული ადგილების რაოდენობაზე

Y არის მაყურებლის რეალურ რაოდენობას წლის განმავლობაში.

იმ თეატრებში სადაც სხვადასხვა დარბაზებია X გამოითვლება:

დარბაზი 1-ის ადგილების რაოდენობა გამრავლებული ამ დარბაზში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობაზე + დარბაზი 2-ის ადგილების რაოდენობა გამრავლებული ამ დარბაზში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობაზე + დარბაზი 3-ის ადგილების რაოდენობა გამრავლებული ამ დარბაზში ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობაზე და ა.შ.

რეზერვუარის ლიტერა სპექტრი



რეიტინგული სპექტაკლები - 2024

1. ქუთაისი თოჯინები - იავნანმ რა ჰქმნა - 76
2. მარიონეტების თეატრი - ჩემი გაზაფხულის შემოდგომა - 69
3. თბილისის თოჯინები - ბატის ჭუკი - 53
4. მოზარდის თეატრი - რწყილი და წიანტველა - 44
5. ახალი თეატრი - მე გადმოვცურავ ზღვას - 31
6. ახალციხის თოჯინები - საშობაო ზღაპარი - 25
7. ოზურგეთი - ექვთიმე - 25
8. ბორჯომის თოჯინები - შვლის ნუკრის ნაამბობი - 24
9. გორის თეატრი - კონკია -19.
10. მარჯანიშვილის თეატრი - ქალები - 17
11. რუსთაველის თეატრი - პინოქიო - 17
12. სენაკი - ჩიპოლინოს თავგადასავალი - 15
13. თუმანიშვილის თეატრი - მეფე ლირი - 12
14. მესხეთის თეატრი - HELLADOS - 12
15. ფოთის თეატრი - ჯაცოს ხიზნები - 10
16. მესხიშვილის თეატრი - FACEBOOK - ის ქვეყანა - 10
17. თელავის თეატრი - გაყინული თოვლის პაპის ამბავი - 8
18. ზუგდიდის თეატრი - ანა ფრანკი - 7
19. გრიბოედოვის თეატრი - ემიგრანტები - 7
20. ზესტაფონის თეატრი - თბილის ზღვის ცივი ნაპირი - 5
21. ჩრდილების თეატრი - წელიწადის ოთხი დრო - 5
22. ჭიათურა - ბოშები - 4



2024 წლის მიხედვით ყველაზე მეტი სპექტაკლი დადგა
რეჟისორებმა:

ელენე მაცხოვნაშვილმა - 8;

ვასო ჩიგოგიძემ - 4;

გიორგი სიხარულიძემ - 4.

ყველაზე წიოდუცხი მხატვრები



2024 წლის მიხედვით სცენოგრაფებიდან ყველაზე მეტ
სპექტაკლზე იმუშავეს:
ვახტანგ ქორიძე -12;
ლომგულ მურუსიძე - 7;
თეო კუხიანიძე - 5.



2024 წელს ყველაზე პროდუქტიული ქორეოგრაფები არიან:

- გია მარლანია - 8;
- თიკო ქოიავა - 4;
- კოტე ფურცელაძე - 4.

2024 წელს ყველაზე მეტი სპექტაკლისთვის მუსიკა დაწერა

- ერთმა კომპოზიტორმა
- კონსტანტინე ეჯიბაშვილმა - 3.

მუსიკალურ გამფორმებლად ყველაზე მეტი სპექტაკლისთვის

- გვევლინებიან რეჟისორები:
- ნიკოლოზ საბაშვილი - 4;
- ელენე მაცხოვნაშვილი - 4;
- ელისო ორჯონიკიძე - 4.




2024 წლის მონაცემებით, 28 სახელმწიფო თეატრის მონაცემებზე დაყრდნობით, მსახიობთაგან ლიდერები არიან:

მარიკა ასათიანი - 5 ოზურგეთის თეატრი;
 თორნიკე ბასიშვილი - 5 - გორის თეატრი;
 შორენა გვეტაძე - 5 - ოზურგეთის თეატრი;
 ელენე დარჩია - 5 - გორის თეატრი;
 თეა კეჭაყმაძე - 5 - ოზურგეთის თეატრი;
 ჯაბა მორჩილაძე - 5 - ოზურგეთის თეატრი;
 რატი ნავაძე - 5 - თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი;
 ზუკა პაპუაშვილი - 5 - ვასო აბაშიძის მუსიკალური კომედიის და
 დრამის თეატრი;
 მერაბ შარიქაძე - 5 - თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი;

2024 წელს 8 თეატრში (მათ შორის თბილისის - 4, რეგიონის - 4) 19 მსახიობი.

დედაქალაქის 4 თეატრში შეივსო 13 მსახიობით, მათგან 8 ქალია, 4 მამაკაცი.
 რეგიონის 4 თეატრში დასში ჩაირიცხა 6 მსახიობი, მათ შორის 4 მამაკაცი, 2 ქალი.



რუსთაველის ეროვნული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან ორივე დადგმა დაფუძნებულია თანამედროვე ქართველი ავტორის ტექსტზე. ჟანრობრივად ორივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 9 300 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 9 300 ლარს, ხოლო 2024 წელს თეატრს სამინისტროსთვის სადადგმო ხარჯებზე არ მიუმართავს.

2 პრემიერიდან ორივე პრემიერა მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 24-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ სპექტაკლი – „სიზმრების ტყის საიდუმლო“- სულ 17-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 7-ჯერ იყო წარმოდგენილი „მე პაწია მერცხალი ვარ“.

2024 წლის მონაცემებით, რუსთაველის ეროვნული თეატრის რეპერტუარში 16 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 125 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 26 146 ბილეთი, ხოლო დაესწრო 27 264 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლები „პინოკიო“ და „სიზმრების ტყის საიდუმლო“ (17 ჯერ). „პინოკიოზე“ გაიყიდა 9187 ბილეთი და დაესწრო 9280 მაცურებელი, ხოლო სპექტაკლზე „სიზმრების ტყის საიდუმლო“ ინფორმაცია გაყიდული ბილეთების და დამსწრე მაცურებლის შესახებ თეატრს არ მოუწოდებია.

რუსთაველის ეროვნული თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „პინოკიო“ (9187 ბილეთი) და მას დაესწრო 9280

მაყურებელი. ყველაზე დაბალი გაყიდვები ჰქონდა სპექტაკლს „შედა გაბლერი“ 295, ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „ერთხელ... მხოლოდ“, მასზე 397 ბილეთი გაიყიდა.

2024 წელს რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 9 გეოგრაფიულ პუნქტში (ზესტაფონი, ბოლნისი, გორი, ოზურგეთი, სენაკი, ბათუმი, მარნეული, გორი, საჩხერე) და ითამაშა 11 წარმოდგენა (მათ შორის ორჯერ ბათუმსა და ზესტაფონში). მათგან მხოლოდ 1 იყო ფესტივალი, დანარჩენი გასტროლი. რუსთაველის ეროვნულ თეატრს 2024 წელს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2024 წელს რუსთაველის ეროვნულ თეატრში 2 სპექტაკლის პრემიერა შედგა. პრემიერების მცირე რაოდენობის გამო მსახიობთა რეიტინგის დადგენა შეუძლებელია.

2024 წელს, რუსთაველის ეროვნული თეატრის დასს გამოაკლდა 2 მსახიობი. 69 წლის გარდაიცვალა ტრისტან სარალიძე, ასევე რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობობა დატოვა ირაკლი სანაიაშ (42 წლის). თეატრის დასის 39 მსახიობს 2024 წელს მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ახალ დადგმაში, მათი ასაკი მერყეობს 25 წლიდან 81 წლამდე.



თბილისის კომე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 1 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ დრამატურგიაზე, ხოლო 2 უცხოური თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშებია. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 84 979 ლარი დახარჯა, მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 3 000 ლარს, ხოლო კერძო სახსრებია 81 979 ლარი.

3 პრემიერიდან არც ერთი დადგმა არ ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, ორი პრემიერა მოწვეულმა ქართველმა რეჟისორებმა განახორციელეს, ხოლო 1 უცხოელმა.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 23-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 18 - ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „უცნაური მისის სევიჯი“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ „გაკვეთილი“.

2024 წლის მონაცემებით, მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში 19 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 134 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 27 636 ბილეთი, ხოლო დაესწრო 28 479 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგენეს სპექტაკლი სპექტაკლი „ქალები“ (17- ჯერ), რომელზედაც გაიყიდა 6 345 ბილეთი. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „გაკვეთილი“ (გაიყიდა 11 ბილეთი).

2024 წელს მარჯანიშვილის თეატრს საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს 9 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორის ჭიათურა, მესტაფონი, საჩხერე, ქუთაისი, სენაკი, მესტია, ბორჯომი, გორი. მესტაფონში გაიმართა 2 გასტროლი. სულ თეატრმა 10 საგასტროლო სპექტაკლი გამართა. 2024 წელს მარჯანიშვილის თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2024 წელს მარჯანიშვილის თეატრის დასში მიიღეს 2 მსახიობი, გარდაიცვალა 3. თეატრს არ მოუწოდებია ინფორმაცია იმ მსახიობთა რაოდენობის შესახებ, რომლებსაც 2024 წელს არც ერთ საპრემიერო დადგმაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

2024 წელს მარჯანიშვილის თეატრის დასში 69 მსახიობია. აქედან ახალ განაწილებულ სპექტაკლებში მონაწილეობა არ მიუღია 51 მსახიობს. მათგან 21 - ქალია, 30 - მამაკაცი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მსახიობები თეატრის სხვა სარეპერტუარო სპექტაკლებში არ მონაწილეობენ.

მარჯანიშვილის თეატრში 2024 წლის მონაცემების სამი პრემიერიდან 2 ში მონაწილეობდნენ მსახიობები: დავით დვალისხილი, ნოდარ დოლონაძე, ლილე ფილფანი და გვანცა კორშია.



თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან 2 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ დრამატურგიაზე, ხოლო 3 უცხოური თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშებია. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 482 000 ლარი დახარჯა, ეს ხარჯი სრულად წარმოადგენს კერძო დაფინანსებას. 2024 წელს ვასო აბაშიძის თეატრს დაფინანსებისთვის არ მიუმართავს არც საქართველოს კულტურის სამინისტროსთვის და არც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის.

5 პრემიერიდან არც ერთი დადგმა არ ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, 5-დან 2 მოწვეული ქართველი რეჟისორია, ხოლო სამი უცხოელი რეჟისორი.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 30-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 11 - ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „მედეა“ (რეჟისორი კოტე ფურცელაძე), ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ „მედეა-ხმები“.

2024 წლის მონაცემებით, ვასო აბაშიძის თეატრის რეპერტუარში 17 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 186 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 68 297 ბილეთი, ხოლო დაესწრო 68 989 მაცურებელი.

რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლი „მე გადმოვცურავ ზღავს“ (31- ჯერ), რომელზედაც 11 798 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი უცხოელი რეჟისორის სპექტაკლი: „მედია ხმები“. (სპექტაკლი ჩაბარდა, მაგრამ პრემიერა არ გამართულა). ვასო აბაშიძის თეატრის რეპერტუარიდან ყველაზე დაბალი გაყიდვები ჰქონდა სპექტაკლს „მაკბეთი“, რომელიც სულ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი და 725 ბილეთი გაიყიდა.

2024 წელს ვასო აბაშიძის თეატრს გასტროლები არ ჰქონია ქვეყნის შიგნით, მხოლოდ 1 საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა პეკინში (ჩინეთი), სადაც წარმოდგინეს დავით დოიაშვილის „თოლია“ 3-ჯერ.

2024 წელს ვასო აბაშიძის თეატრის ინიციატივით გაიმართა ანდრეი ჟოლდაკის მასტერკლასი, რომელსაც თეატრის 40 მსახიობი ესწრებოდა.

2024 წელს თეატრში მიიღეს 1 მსახიობი ანა გვანცელაძე (27 წლის).

ვასო აბაშიძის თეატრში 2024 წლის მონაცემების მიხედვით ლიდერი მსახიობის პოზიცია უჭირავს ზუკა პაპუაშვილს, რომელმაც თეატრის 5 პრემიერიდან 4-ში მიიღო მონაწილეობა.



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2025 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 2 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ დრამატურგიაზე, ხოლო 1 უცხოური თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშებია. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 117 024 ლარი დახარჯა, მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 15 653. 4 ლარს, ხოლო კერძო სახსრები 101 371 ლარი.

3 პრემიერიდან არც ერთი დადგმა არ ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, სამივე პრემიერა მოწვეულმა ქართველმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 33-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 14 - ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლები - „ეს ასეა (თუკი თქვენ გეჩვენებათ რომ ასეა)“ და „უცნაური ქალბატონი სევიჯი“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 5-ჯერ „რობერტო ზუკო“.

2024 წლის მონაცემებით, კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში 22 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 122 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 14 415 ბილეთი, ხოლო დაესწრო 20 479 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლი ორი სპექტაკლი „მეფე ლირი“ და „ეს ასეა (თუკი თქვენ გეჩვენებათ რომ ასეა)“ (12- ჯერ). „მეფე ლირზე“ გაიყიდა 4 923 ბილეთი, ხოლო სპექტაკლზე „ეს ასეა (თუკი თქვენ გეჩვენებათ რომ ასეა)“ 960 ბილეთი. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „ცხენები ფანჯარაში“ (გაიყიდა 16 ბილეთი, დაესწრო 130 მაყურებელი) და „ზვავი“ (გაიყიდა 76 ბილეთი, დაესწრო 170 მაყურებელი). 2024 წელს ჩატარდა საიუბილეო საღამოები: „მზია არაბული - 70“, „გია როინიშვილი - 60“, „რუსუდან ბოლქვაძე - 65“, „ლია კაპანაძე - 90“. ოთხივე საიუბილეო საღამოს 175 მაყურებელი დაესწრო, ჯამში 700 მაყურებელი.

2024 წელს კინომსახიობთა თეატრს საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს 6 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორის გორში, ოზურგეთში, საგარეჯოში, ზესტაფონში, წინანდალსა და მესტიაში. გორსა და ოზურგეთში 2-ჯერ. სულ თეატრმა 8 საგასტროლო სპექტაკლი გამართა. 2024 წელს კინომსახიობთა თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2024 წელს კინომსახიობთა თეატრის დასს შეემატა 7 ახალი მსახიობი: ნიკოლოზ ბარჯაძე (23 წლის), ნია გუგავა (21 წლის), ირაკლი კვირიკაძე (33 წლის), თორნიკე ნუკრაძე (25 წლის), ნიკა ნიკურაძე (29 წლის), შიო აბრახამია (41 წლის), ლიზა ნიკვაშვილი (24 წლის).

2024 წლის მონაცემებით, თეატრის დასში არის 21 მსახიობი, რომელთაც არც ერთ ახალ დადგმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ესენი არიან: მზია არაბული (70 წლის), ზურაბ ყიფშიძე (71 წლის), რამაზ იოსელიანი (66 წლის), ირინე გიუნაშვილი (43 წლის), ზურაბ გეწაძე (53 წლის), ეკატერინე კალატოზიშვილი (36 წლის), ქეთევან

შათირიშვილი (35 წლის), ნანა ლითანიშვილი (54 წლის), ქეთევან ასათიანი (41 წლის), პაატა ინაური (38 წლის), ლაურა რეხვიაშვილი (74 წლის), ანა ნიკოლაშვილი (46 წლის), ლია კაპანაძე (90 წლის), ირაკლი გეჭაძე (33 წლის), ნინო იაშვილი (31 წლის), ილია ტყეშელაშვილი (40 წლის) ნატალია შენგელაია (66 წლის), გიორგი ყიფშიძე (47 წლის), პაატა ბარათაშვილი (71 წლის), ნიკოლოზ წერეთლიანი (46 წლის), ნანა შონია (59 წლის).

კინომსახიობთა თეატრში 2024 წლის მონაცემების მიხედვით ლიდერი მსახიობი არ გამოკვეთილა.



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა კროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 9 პრემიერა, მათგან 8 ქართულ კლასიკურ მწერლობას მიეკუთვნება და 1 უცხოურ კლასიკურ დრამატურგიას. ჟანრობრივად გვხვდება 2 ტრაგედია, 5 დრამა და 1 სხვა ჟანრს მიეკუთვნება. პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 172 987 ლარი, მათგან 117 187 თეატრის საკუთარი სახსრები, ხოლო 27 800 საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება, მუნიციპალური დაფინანსება შეადგენს 28 000 ლარს.

9 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 1 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 8 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 9 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 175-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „სათაგური“, განახლებული დადგმა ახალი შემადგენლობით (50-ჯერ). ხოლო ყველაზე ნაკლებად, სულ 3-ჯერ იყო წარმოდგენილი „(პ)აბო“ და „დარისპანის გასაჭირი“.

2024 წლის მონაცემებით, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში 37 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 559 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 94 908 ბილეთი და 559 სპექტაკლს დაესწრო 106 464

მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (45-ჯერ), ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „დავით სარაჯიშვილი“, ხოლო წლის მანძილზე მხოლოდ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „ჰამლეტი“ და „ოტელო“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 3-დან 44-მდე.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ურჩხული და ლამაზმანი“ – 9 345, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 11 251 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „დავით სარაჯიშვილი“, რომელზედაც 13 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 22 მაყურებელი. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „ღამე და თუთიყუში“, რომელზედაც სულ 103 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 199 მაყურებელი.

2024 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 7 გეოგრაფიულ პუნქტში (თელავი, ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი, ბათუმი, რუსთავი, გორი) მათ შორის. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 14 ერთეული. მათგან 4 იყო ფესტივალი, დანარჩენი 10 გასტროლი.

2024 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლი 5 ქვეყანაში, მათ შორის, რუმინეთი, უზბეკეთი, საფრანგეთი, დანია და ჩინეთი. მსოფლიოს 5 ქვეყანაში თეატრმა 8 წარმოდგენა გამართა. მათგან ყველა იყო საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი.

2024 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მსახიობთაგან ლიდერია მერაბ შარიქაძე, რომელმაც 5 ახალ დადგმაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ქალ მსახიობთაგან ლიდერის პოზიცია უჭირავს სოფიო ფერაძეს, რომელმაც 4 ახალ დადგმაში მიიღო მონაწილეობა.

2024 წელს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი დასი განახლდა 10 მსახიობით: ანა თოგოშვილი, მალხაზ შაყულაშვილი, ნანა მეტრეველი, ელენე დარჩია, მია მიქელაძე, ლალი ღერკენაშვილი, ნია ტოგონიძე, ნანა ვარამაშვილი, მერაბ ბრეკაშვილი და ნიკა ნანიტაშვილი. მათი ასაკი 22-დან 60 წლამდე მერყეობს.

2024 წელს თეატრი დატოვა ერთმა მსახიობმა: ირაკლი გოგოლაძემ.

2024 წლის მონაცემების მიხედვით, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი დასში ირიცხება მხოლოდ 1 მსახიობი, 83 წლის ბერტა ხაფავა, რომელსაც არც ერთ ახალ დადგმაში არ მიუღია მონაწილეობა.

თბილისის თოჯინების თეატრი



საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება თბილისის გიორგი შიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 7 პრემიერა, მათგან 2 დადგმა დაფუძნებულია უცხოური კლასიკური ნაწარმოებზე, დანარჩენი 5 სხვადასხვა ჟანრის ორიგინალური ნაწარმოებებია, რომელიც ეფუძნება ცნობილ და უცნობ სიუჟეტებს. 7 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 63 111 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 43 111 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 20 000 ლარი.

7 პრემიერიდან მხოლოდ 1 დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელი, დანარჩენი 6 მოწვეული რეჟისორების დადგმულია.

დადგმული 7 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 82-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „კარლსონი“ სულ 57-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, თითოჯერ იყო წარმოდგენილი იყო „ყველაზე ყველაზე პატარა გმირი“ და „გამნათებელი“. დანარჩენი საპრემიერო სპექტაკლების წარმოდგენების რაოდენობა მერყეობს 2-დან 11-მდე.

2024 წლის მონაცემებით, თბილისის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 17 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 230 წარმოდგენა გამართა. ჯამში

წლის განმავლობაში გაიყიდა 13 460 ბილეთი და 230 სპექტაკლს დაესწრო 17 963 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ბატის ჭუკი“ (53-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „მონოგამები“, „მე პატარა ქართველი ვარ“, „ყველაზე, ყველაზე პატარა გმირი“. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „ნისლი“, რომელიც 2-ჯერ იყო წარმოდგენილი. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 5 - დან 51 -მდე.

თბილისის თოჯინების თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ბატის ჭუკი“- 3 324, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო ამდენივე მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „მონოგამები“, რომელზედაც მხოლოდ 1 ბილეთი ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 15 მაყურებელი (წარმოდგენილი იყო 1-ჯერ). ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „მე პატარა ქართველი ვარ“ რომელზედაც სულ 4 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო დაესწრო 20 მაყურებელი და წლის მანძილზე სულ 1-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს თბილისის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 4 გეოგრაფიულ პუნქტში (ხულო, ქედა, ხელვაჩაური, ბათუმი) და გამართა 4 წარმოდგენა. გასვლითი წარმოდგენებიდან 1 იყო ფესტივალი, ხოლო 3 გასტროლი. 2024 წელს თბილისის თოჯინების თეატრს საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა 2 ქვეყანაში. სოფიაში (ბულგარეთი) და ლევილში (საფრანგეთი) გამართეს თითო სპექტაკლი. მათგან ერთი იყო გასტროლი, ხოლო ერთი ფესტივალი.

2024 წელს თბილისის თოჯინების თეატრის 7 პრემიერიდან ოთხში დაკავებული იყო: მაია მალხაზიშვილი, ამიტომაც მას უჭირავს ლიდერის პოზიცია ქალ მსახიობთა შორის, ხოლო მამაკაცთაგან 3 ახალ დადგმაში მიიღეს მონაწილეობა: რატი ნავაძემ, ვახტანგ ჭელიძემ და დავით ბერიძემ.

2024 წელს, თბილისის თოჯინების თეატრს დასს შეემატა 1 მსახიობი, 44 წლის ოთარ ფადრაშვილი. სხვა ცვლილება დასის შემადგენლობაში არ მომხდარა.

თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი



2024 წელს თეატრს არ ჰქონია პრემიერა.

თეატრის შენიშვნა: მარიონეტული თეატრის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ სპექტაკლზე მუშაობა მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს: თოჯინების და დეკორაციების დამზადება, პიესის ტექსტის კორექტირება, ფონოგრამის ჩაწერა და ა.შ. შემდეგ კი იწყება სარეპეტიციო პროცესი. ამ ეტაპზე გაბრიადის თეატრი იმყოფება ახალი სპექტაკლის პრემიერისთვის მზადების პროცესში, რომელიც დაგეგმილია 2026 წლის დასაწყისში. აქედან გამომდინარე 2024 წელს ახალი სპექტაკლის პრემიერა არ შემდგარა.

თეატრის რეპერტუარში 4 სპექტაკლია. წლის მანძილზე თეატრმა 255 წარმოდგენა გამართა. მათგან, ყველაზე ხშირად წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ წლის განმავლობაში 69-ჯერ. ხოლო ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი იყო „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“

59-ჯერ. 2024 წელს თეატრმა 4 სპექტაკლზე გაყიდა 19 346 ბილეთი, ხოლო 69 წარმოდგენას დაესწრო 19 380 მაყურებელი.

2024 წელს გაბრიადის მარიონეტების თეატრს გასტროლები არ ჰქონია როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე საზღვარგარეთ. არც რაიმე სახის განახლება მომხდარა დასში.



ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრი „აფხაზეთი“


ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრი „აფხაზეთი“ ნარ გააჩნია თავისი სტაციონარი. თეატრი წარმოდგენებს მართავს რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე დარბაზში.

2024 წელს თეატრს არ ჰქონია პრემიერა.

თეატრის რეპერტუარში 3 სპექტაკლია. წლის მანძილზე თეატრმა 7 წარმოდგენა გამართა. მათგან, ყველაზე ხშირად წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“, წლის განმავლობაში 5-ჯერ. ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი ორი სპექტაკლი: „მათეს ვნებანი“ და მულტიმედია „ჩრდილების ექო“. არც ერთ წარმოდგენაზე ბილეთები არ გაყიდულა, თუმცა ჯამში ამ ორ წარმოდგენას 180 მაყურებელი დაესწრო.

2024 წელს ჩრდილების თეატრმა 643 ბილეთი გაყიდა და 742 მაყურებელს უმასპინძლა. ამავე წელს თეატრმა გამართა 25 მასტერკლასი, რომელზედაც 150 ბილეთი გაყიდა.

2024 წელს ჩრდილების თეატრს საერთაშორისო გასტროლები არ ჰქონია. თეატრმა მხოლოდ საქართველოს 4 გეოგრაფიულ პუნქტში გამართა წარმოდგენა, მათ შორის ორჯერ ბორჯომში, ხოლო ერთხელ სტუმრობდნენ ვაზიანს და ქვემოჭალას. გასვლითი სპექტაკლებიდან 3 იყო გასტროლი და 1 ფესტივალი.



ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან 2 დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ ლიტერატურაზე, 1 თანამედროვე ქართველი ავტორის და 1 უცხოელი თანამედროვე ავტორის ტექსტებზე. ჟანრობრივად ოთხივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 4 პრემიერის მომზადებაზე თუ რა ფინანსური რესურსი თეატრმა დახარჯა თეატრმა ინფორმაცია არ გვაქვს. ვიცით მხოლოდ ის, რომ 4 პრემიერის მოსამზადებლად ჩატარდა 149 რეპეტიცია.

4 პრემიერიდან ოთხივე პრემიერა მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 18-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 6-ჯერ წარმოდგენილი იყო 2 სპექტაკლი – „ჩერნობილის ლოცვა“ და „ჩემი ოცნების თეატრი“. ხოლო ყველაზე ნაკლებად, 2-ჯერ იყო წარმოდგენილი „ჭირვეული პრინცესა“.

2024 წლის მონაცემებით, გრიბოედოვის თეატრის რეპერტუარში 27 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 90 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 17490 ბილეთი, ხოლო დაესწრო 17545 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგენეს სპექტაკლები „მერი პოპინსი“ და „ემიგრანტები“ (7 ჯერ). მათგან გაყიდული ბილეთების მიხედვით ლიდერობს „მერი პოპინსი“, რომელზედაც 3 186 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „თვინიერი“, „მდგმური“, „ფრთები ნამცეცასთვის“. თეატრის რეპერტუარში 8

სპექტაკლია, რომელიც მხოლოდ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი წლის განმავლობაში.

გრიბოედოვის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „მერი პოპინსი“ (3 186 ბილეთი) და მას დაესწრო 3 196 მაყურებელი. ყველაზე დაბალი გაყიდვები ჰქონდა სპექტაკლს „მდგმური“, რომელზედაც 129 ბილეთი გაიყიდა, ამ რეიტინგში მეორე ადგილზე სპექტაკლი - „აგნეს უილის ცოლი“ 191-ბილეთი, რომელიც წლის მანძილზე 3-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს გრიბოედოვის თეატრს გასტროლები არ ჰქონია საქართველოში. თუმცა თეატრმა საქართველოს ფარგლებს მიღმა 12 სპექტაკლი ჩაატარა. გრიბოედოვის თეატრმა იმოგზაურა 4 ქვეყანაში (სომხეთი, მოლდოვა, გერმანია, ესტონეთი), მათ შორის, 2-ჯერ იმყოფებოდა სომხეთში ერევანსა და გიუმრიში. მათგან 4 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალია, ხოლო 1 გასტროლია. თეატრი გასტროლებზე იმყოფებოდა ესტონეთის შემდეგ ქალაქებში: კობულა-იარვე, ტალინი, ნარვა, ხოლო გერმანიაში ჰანოვერში, მოლდოვაში კიშინიოვში.


2024 წელს გრიბოედოვის თეატრის 4 პრემიერიდან ორში მონაწილეობდნენ მსახიობები: ანა ნიკოლავა, გიგა კაკუბავა, ინა ვორობიოვა, ლუკა ჭიშკარიანი, მიხეილ არჯევანიძე, ხატია ბერუაშვილი.

2024 წელს, გრიბოედოვის თეატრის დასს შეუერთდა 26 წლის მარიამ ფსუტური, ხოლო გათავისუფლდა ორი მსახიობი 31 წლის დავით ნიჟარაძე და 44 წლის დიმიტრი მერაბიშვილი.

2024 წელს თეატრის არც ერთ საპრემიერო დადგმაში არ მონაწილეობდა 15 მსახიობი, მათგან 7 მსახიობს ჰქონდა მხოლოდ რეპეტიციები 2025 წლის პრემიერებისთვის. პრემიერებში დაუკავებელი მსახიობების ასაკი მერყეობს 38 დან 88 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, გრიბოედოვის თეატრის გარკვეულმა თანამშრომლებმა სტაჟირება გაიარეს და დაესწრნენ რამდენიმე ვორქშოპს ბუდაპეშტში (უნგრეთი), მათ შორის 1 თანამშრომელი დაესწრო ვორქშოპს „მხატვრული განათება“, 4 თანამშრომელი ესწრებოდა ვორქშოპს „სცენის ტექნოლოგია“, 1 თანამშრომელი ესწრებოდა გახმოვანების ვორქშოპს, ხოლო 2 ვორქშოპს „სუბტიტრების ახალი პროგრამა“. ოთხივე ვორქშოპზე თანამშრომლების ვიზიტი დააფინანსა ბუდაპეშტის თეატრალური ოლიმპიადამ.

სომხური
თეატრი



თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წლის განმავლობაში თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს არ ჰქონდა შენობა. თეატრი წარმოდგენებს მართავდა სხვადასხვა სივრცეებში.

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, ორივე მათგანი დაფუძნებულია ქართულ კლასიკურ დრამატურგიაზე. ჟანრობრივად ორივე კომედიაა. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 61 997 ლარი. მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 25 000 ლარს, მუნიციპალური 10 000 ლარს, კერძო 26 997 ლარს.

2 პრემიერიდან ერთი თეატრის ხელმძღვანელმა, ხოლო ერთი პრემიერა მოწვეულმა რეჟისორმა განახორციელეს.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 14-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 4 -ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „აურზაური ავლაბარში“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ იყო წარმოდგენილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

2024 წლის მონაცემებით, თბილისის სომხური თეატრის რეპერტუარში 4 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 10 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 1 120

ბილეთი, ხოლო დაესწრო 1 995 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლი

„მხიარული ნაძვის ხე“ (9 ჯერ), რომელზედაც 500 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ღია ზღვაში“ და ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

თბილისის სომხური თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „მხიარული ნაძვის ხე“ (500 ბილეთი) და მას დაესწრო 595 მაყურებელი. ყველაზე დაბალი გაყიდვები ჰქონდა სპექტაკლს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, რომელზედაც 199 ბილეთი გაიყიდა, მაგრამ მას 700 მაყურებელი დაესწრო. სპექტაკლი 2024 წელს მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს თბილისის სომხურ თეატრს გასტროლები არ ჰქონია საქართველოში. თუმცა თეატრმა საქართველოს ფარგლებს მიღმა 3 სპექტაკლი გამართა 2 ქვეყანაში – სომხეთსა და საფრანგეთში. ორივე გასვლა იყო გასტროლი, 2 წარმოდგენა იყო ერევანში (სომხეთი) და 1 პარიზში (საფრანგეთი).

ვინაიდან 2024 წელს თბილისის სომხურ თეატრში მხოლოდ 2 პრემიერა შედგა, ლიდერი მსახიობი არ გამოკვეთილა.

2024 წელს, თბილისის სომხურ თეატრის მსახიობობის შტატიდან გათავისუფლდა კლაუდია აკოფიანი (32 წლის) და ირინა ისაევა (65 წლის). დასში მხოლოდ ერთი მსახიობია – 84 წლის რობერტ აგაჯანოვი, რომელსაც თეატრის საპრემიერო წარმოდგენებში მონაწილეობა არ მიუღია.



ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წლის განმავლობაში ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს არ ჰქონდა შენობა. თეატრი წარმოდგენებს მართავდა სხვადასხვა სივრცეებში.

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 1 პრემიერა, რომელიც დაფუძნებულია ქართულ კლასიკურ დრამატურგიაზე. ჟანრობრივად კომედიაა. პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 20 000 ლარი. მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 1000%.

პრემიერა მოამზადა თეატრის ხელმძღვანელმა.

პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 5-ჯერ. აღნიშნულ სპექტაკლზე 81 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 150 მაცურებელი.

2024 წლის მონაცემებით, თბილისის აზერბაიჯანული თეატრის რეპერტუარში 3 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 11 წარმოდგენა გამართა. მათგან სტაციონარზე 5, ხოლო 6 საგასტროლო წარმოდგენაა. ჯამში თეატრმა წლის განმავლობაში 81 ბილეთი გაიყიდა და 5 წარმოდგენას საქართველოში 150 მაცურებელი დაესწრო. დანარჩენი 2 წარმოდგენა გაიმართა ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასევე 4 წარმოდგენა გაიმართა საქართველოს მუნიციპალიტეტებში.

2024 წელს თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 4 გეოგრაფიულ პუნქტში, მათ შორის, მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისსა და ლაგოდეხში. წარმოდგენების რაოდენობამ შეადგინა 4. თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლიც, სადაც 2 წარმოდგენა გამართა. ერთი აქტაუში (ყაზახეთი) და ოლივეტრო ჩიტრაში (იტალია)

ვინაიდან 2024 წელს თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში მხოლოდ 1 პრემიერა შედგა, ლიდერი მსახიობი არ გამოკვეთილა.

2024 წელს, თბილისის აზერბაიჯანული თეატრის დასს შეემატა მსახიობი ნანო მამედოვა.



ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული

2024 წლის განმავლობაში ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრს არ ჰქონდა შენობა. თეატრი წარმოდგენებს მართავდა სხვადასხვა სივრცეებში.

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, ორივე სპექტაკლი დაფუძნებულია უცხოურ კლასიკურ ლიტერატურაზე. ჟანრობრივად ორივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 30 870 ლარი. დაფინანსება მთლიანად ეკუთვნის საქართველოს კულტურის სამინისტროს.

2 პრემიერიდან ერთი თეატრის ხელმძღვანელს ეკუთვნის, ხოლო ერთი მოწვეულ რეჟისორს.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 9-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 8-ჯერ წარმოდგენილი იყო „ოქროს წიწილა“. ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ იყო წარმოდგენილი „სისხლიანი ქრონიკები“.

2024 წლის მონაცემებით, ცხინვალის თეატრის რეპერტუარში 5 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 16 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 1 557

ბილეთი, ხოლო დაესწრო 3 000-მდე მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლები „ოქროს წიწილა“. აღნიშნულ წარმოდგენაზე არც ერთი ბილეთი არ გაყიდულა, რადგან ეს იყო საქველმოქმედო წარმოდგენები საზღვრისპირა სოფლებში.

ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „მატარებელი“ და „სისხლიანი ქრონიკები“. აღსანიშნავია რომ 403 ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „მატარებელი“.

ცხინვალის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „უჩინმანის ქუდი“ (600 ბილეთი) და მას დაესწრო ამდენივე მაყურებელი, რომელიც წლის განმავლობაში 2-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს ცხინვალის თეატრს 8 გასვლითი წარმოდგენა ჰქონდა საზღვრისპირა სოფლებში, 2 წარმოდგენა გამართა ლევილში (საფრანგეთში) ლევილის ქართული ფესტივალის ფარგლებში.

ვინაიდან 2024 წელს თეატრში მხოლოდ ორი პრემიერა შედგა, ლიდერი მსახიობები დატვირთულობის მიხედვით არ გამოკვეთილა.

2024 წელს ცხინვალის თეატრის დასშირაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა.



თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან ხუთივე პიესა მიეკუთვნება თანამედროვე ქართველ ავტორს, მათ შორისაა, ორიგინალური პიესა და ინსცენირებები, რომელთაგან ჟანრობრივად 1 კომედიაა, დანარჩენი კი სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნება. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 16 950 ლარი, მათგან სრულად თეატრის საკუთარი სახსრები დაიხარჯა.

5 პრემიერიდან ერთია მოწვეული რეჟისორი, ხოლო დანარჩენი თეატრის დასის წევრების -რეჟისორისა და მსახიობების.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 12-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „გაყინული თოვლის პაპის ამბავი“ სულ 6-ჯერ, ხოლო დანარჩენი 3 დადგმა წარმოდგენილი იყო ორ-ორჯერ, ხოლო 1 „ფრიდრიხის მამა“ (რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე) მაყურებელს არ უნახავს.

2024 წლის მონაცემებით, თელავის თეატრის რეპერტუარში 10 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 30 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 2 515 ბილეთი და 10 სპექტაკლს დაესწრო 4 700 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „გაყინული თოვლის პაპის ამბავი“ (8-ჯერ), მხოლოდ ერთხელ გაიმართა დახურული ჩვენება სპექტაკლის „ფრიდრიხის მამა“, ორ-ორჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „სიცოცხლის საგალობელი“, „ლამაზი ცრემლები“, „მე ლამაზი უკვე ვიყავ“, „ჩუმად რეპეტიცია“. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 3 - დან 4 -მდე.

თელავის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ჩუმად რეპეტიცია“- 380, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 500 მაყურებელი, თუმცა დამსწრე მაყურებლის რაოდენობით ლიდერობს „გაყინული თოვლის პაპის ამბავი“, რომელიც 900 მაყურებელმა ნახა, თუმცა გაყიდული ბილეთების რაოდენობა შეადგენს 240 ერთეულს. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „მე ლამაზი უკვე ვიყავ“, რომელზედაც 190 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 300 მაყურებელი. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“, რომელზედაც სულ 194 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 500 მაყურებელი.

2024 წელს თელავის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (საგარეჯო) ერთი სპექტაკლით „ჩუმად, რეპეტიცია“. 2024 წელს თელავის თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია, არც საერთაშორისო ფესტივალში მიუღია მონაწილეობა.

2024 წელს თელავის თეატრის მსახიობთაგან ლიდერია დათა ხუნაშვილი, რომელმაც 3 ახალ დადგმაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ქალ მსახიობთაგან ლიდერის პოზიცია უჭირავს ეთერ ბაბილაშვილს და ნონა ხუმარაშვილს, რომლებმაც 2 ახალ დადგმაში მიიღეს მონაწილეობა.

2024 წელს თელავის თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. ასევე თეატრს არ მოუწოდებია ინფორმაცია იმ მსახიობთა შესახებ, რომლებიც 2024 წლის პრემიერებში არ მონაწილეობდნენ.



საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება გურჯაანის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 2 დადგმა დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე, ერთი უცხოურ კლასიკაზე. ჟანრობრივად ოთხივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 10 635 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 6 500 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 4 125 ლარი.

3 პრემიერა განახორციელა მოწვეულმა რეჟისორებმა.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 10-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ სპექტაკლი - „ზღაპრული ძროხა“- სულ 8-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ იყო წარმოდგენილი იყო „ნაცარქექია“ და „მაგდანას ლურჯა“.

2024 წლის მონაცემებით, გურჯაანის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 3 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 10 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 524 ბილეთი და 10 სპექტაკლს დაესწრო 600 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლი „ზღაპრული ძროხა“, (8-ჯერ). რეპერტუარში არსებული დანარჩენი 2 სპექტაკლი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთხელ, მათ შორის, დახურული ჩვენება გაიმართა სპექტაკლის „ნაცარქექია“, რომელზედაც ბილეთები არ გაყიდულა.

ბორჯომის თოჯინების თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ზღაპრული ძროხა“- 524, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 600 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული 2 სპექტაკლის შემოსავალი შეადგენს 00.00 ლარს.

2024 წელს გურჯაანის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (ბათუმი) და გამართა 1 წარმოდგენა ფესტივალის ფარგლებში. საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2024 წელს გურჯაანის თოჯინების თეატრის 3 პრემიერიდან სამივეში დაკავებული იყო დასის დიდი ნაწილი. ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2024 წელს, გურჯაანის თოჯინების თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა.



ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც თეატრს ამ ეტაპზე არ გააჩნია სტაციონარი.

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან 1 დადგმა დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე, ხოლო მეორე პიესა ეკუთვნის თანამედროვე ქართველ ავტორებს. ჟანრობრივად ორივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 33 360 ლარი,

მათგან კერძო სახსრები შეადგენს 00.00 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 33 360 ლარი.

2 პრემიერა განახორციელა თეატრის ხელმძღვანელმა.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 8-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ სპექტაკლი – „სტუმარ-მასპინძელი“- სულ 7-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ იყო წარმოდგენილი „პირველი ევროპელები“.

2024 წლის მონაცემებით, დმანისის თეატრის რეპერტუარში 4 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 16 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 45 ბილეთი და 16 სპექტაკლს დაესწრო 900-მდე მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ (7ჯერ). მხოლოდ ერთხელ გაიმართა სპექტაკლის „პირველი ევროპელები“ ჩვენება, რომელზედაც ბილეთები არ გაყიდულა.

დმანისის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ხალდე“- 45, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 90 მაყურებელი. გაყიდული ბილეთების შესახებ თეატრს სრულყოფილი ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

2024 წელს დმანისის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (ცაგერი). საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2024 წელს დმანისის თეატრის 2 პრემიერიდან ორივეში დაკავებული იყო დასის დიდი ნაწილი. ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2024 წელს, დმანისის თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 8 პრემიერა, მათგან 4 მსოფლიო კლასიკიდან, 2 უცხოური თანამედროვე პიესა, 2 ქართული კლასიკური ნაწარმოები. 2024 წელს გორის თეატრს თანამედროვე ქართული პიესა არ დაუდგამს. ჟანრობრივად ამ წლის რეპერტუარი ტრეღია და მრავალფეროვანი. 8 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 93 558,04 ლარი, მათგან 87 064,65 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 6 493,39 საბიუჯეტო.

დადგმული 8 პრემიერა ჯამში გათამაშდა 42-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ჩიპოლინო“ (11-ჯერ), ხოლო ყველაზე ნაკლებად „ესკორიალი“ - მხოლოდ 1-ჯერ.

8 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 1 სპექტაკლი, 2 მოწვეულმა რეჟისორმა ელენე მაცხოვნაშვილმა, ხოლო დანარჩენი 5 სხვადასხვა რეჟისორმა.

2024 წლის მონაცემებით, გორის თეატრის რეპერტუარში 22 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 77 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში


გაიყიდა 13 579 ბილეთი და 77 წარმოდგენას დაესწრო 15 463 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „კონკია“ (19-ჯერ), ხოლო მხოლოდ თითოჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ბავშვებს ყურები ნაჭრით ავუხვიე“, „დაუძახე ბროწეულო, პურის თავთავო“, „ესკორიალი“, „ვაჟიშვილი“, „კარლსონი“, „მამა“, „ოტელო“, „პრემიერა“, „ქეიფი სოლოლაკში“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 3-დან 8-მდე.

გორის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „კონკია“ 5 907, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 6 880 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „მამა“, სულ გაიყიდა 32 ბილეთი.

2024 წელს გორის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 4 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, სენაკი, ზესტაფონი), მათ შორის, 2-ჯერ თბილისში, ბათუმსა და სენაკში. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 7 ერთეული. მათგან 3 იყო ფესტივალი, 4 გასტროლი.

8 პრემიერიდან 5 ახალ დადგმაში მონაწილეობდა თორნიკე ბასიშვილი, ხოლო 4 პრემიერაში მიიღეს მონაწილეობა გიორგი ჩოჩინიძემ, ზვიად მაღალაშვილმა და კახი ბერიძემ. ხოლო ქალ მსახიობთაგან 2024 წელს გორის თეატრში ლიდერის პოზიცია უჭირავს ელენე დარჩიას და მარიამ არღუთაშვილს, რომლებმაც 3 ახალ დადგმაში მიიღეს მონაწილეობა.

2024 წელს გორის თეატრის დასში განახლება არ მომხდარა. თეატრის დასში ირიცხება 3 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში (დარეჯან ჭამაური, ანზორ გვაძაბია, გიორგი მაყაშვილი), მათი ასაკი მერყეობს 59 -დან 88-წლამდე.



ახალციხის (მესხეთის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წლის განმავლობაში ახალციხის (მესხეთის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან 2 უცხოური თანამედროვე პიესა, 1 ქართული კლასიკური ნაწარმოები და 2 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა. პრემიერებიდან ძირითადად გვხვდება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 32 145,9 ლარი, მათგან 934 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 31 211,9 საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება.

5 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 2 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 3 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 25-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „HELLADOS“ (13-ჯერ), ხოლო ყველაზე ნაკლებად „შოა“ – მხოლოდ 1-ჯერ. აღსანიშნავია, რომ თეატრს არ გააჩნია საკუთარი სტაციონარი და თეატრი წარმოდგენებს მართავს სხვადასხვა ლოკაციაზე.

2024 წლის მონაცემებით, მესხეთის თეატრის რეპერტუარში 15 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 51 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 3 830 ბილეთი და 51 სპექტაკლს დაესწრო 35 171 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „HELLADOS“ (12-ჯერ), ხოლო მხოლოდ თითოჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, „3+1=2“, „შუღერები“, „სტუმარ-მასპინძელი“, „შოა“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 2-დან 7-მდე.

მესხეთის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „HELLADOS“ 1 169, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 196 მაცურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „შობის ღამე“, რომელზედაც არც ერთი ბილეთი არ გაყიდულა, თუმცა დაესწრო 200 მაცურებელი. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „შოა“, რომელზედაც სულ 37 ბილეთი გაიყიდა.

2024 წელს მესხეთის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 10 გეოგრაფიულ პუნქტში (თბილისი, აწყური, ახალქალაქი, ბაკურიანი, ბორჯომი, გორი, კოჯორი, რუსთავი, საჩხერე, წაღვერი) მათ შორის, 5-ჯერ თბილისში და 4-ჯერ საჩხერეში, 4-ჯერ გორში, 3-ჯერ ახალქალაქში, 2-ჯერ ბორჯომში. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 23 ერთეული. მათგან 1 იყო ფესტივალი, 22 გასტროლი.

2024 წელს მესხეთის თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლიც. ათენში (საბერძნეთში) თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „შობის ღამე“.

5 პრემიერიდან 3 ახალ დადგმაში მონაწილეობდა მანანა ბერიძე, ხოლო 2 პრემიერაში მიიღეს თომა ბუტულაშვილმა, კახი კაპანაძემ, ნიკოლოზ გოგიძემ, ქრისტი ჩიკვაძემ, ხათუნა ღულუნიშვილმა. ქალ მსახიობთაგან 2024 წელს მესხეთის თეატრში ლიდერის პოზიცია უჭირავს მანანა ბერიძეს, მამაკაცთა შორის ლიდერი არ გამოიკვეთა.

2024 წელს მესხეთის თეატრის დასი არ განახლებულა, შესაბამისად დასში არ მიუღიათ არცერთი ახალგაზრდა მსახიობი. არც დასის რომელიმე წევრს დაუტოვებია თეატრი. 2024 წლის მონაცემების მიხედვით, მესხეთის თეატრის დასში ირიცხება 5 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში (ანა ხუბუტია, ლექსო ჩემია, მანუჩარ გოგოლაური, რაულ ბარბაქაძე, პავლე (ბადრი) თამაზაშვილი), მათი ასაკი მერყეობს 38 -დან 70 წლამდე.



საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 1 დადგმა დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე, დანარჩენი 2 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესაა. სამივე დადგმა სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნება. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 20 012 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 15 712 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 4 300 ლარი.

3 პრემიერიდან სამივე დადგმა ეკუთვნის თეატრის კურატორს ლექსო ჩემიას.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 36-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „საშობაო ზღაპარი“ სულ 25-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 3-ჯერ იყო წარმოდგენილი იყო „გემრიელად მიირთვით.“ მესამე სპექტაკლი „სათაგური“ კი სულ 8-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წლის მონაცემებით, ახალციხის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 15 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 71 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 4 004 ბილეთი და 71 სპექტაკლს დაესწრო 4 004


მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „საშობაო ზღაპარი“ (25-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „ცისფერი მარგალიტი“, რომელზედაც 102 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო ამდენივე მაცურებელი. ამ რეიტინგში 2-2- წარმოდგენით არის სპექტაკლები: „დათუნია“, „პატარა უფლისწული“, „ურჩხული და მზეთუნახავი“, „იავნანამ რა ჰქმნა?!“, „მზიანი მზეთუნახავი“, „უცნაური მეგობრების ჯადოსნური ამბავი“, „მზიანი საქართველო“. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 3 - დან 10 -მდე.

ახალციხის თოჯინების თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „საშობაო ზღაპარი“- 915, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 915 მაცურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „გემრიელად მიირთვით“, რომელზედაც 42 ბილეთი ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 52 მაცურებელი (წარმოდგენილი იყო 3-ჯერ). ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „მზიანი საქართველო“, რომელზედაც სულ 76 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო დაესწრო 84 მაცურებელი და წლის მანძილზე სულ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს ახალციხის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (ბათუმი) და გამართა 1 წარმოდგენა ფესტივალის ფარგლებში. ამ წელს თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია.

2024 წელს ახალციხის თოჯინების თეატრის 3 პრემიერიდან სამივეში დაკავებული იყო დასის დიდი ნაწილი. ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2024 წელს, ახალციხის თოჯინების თეატრის დასში ცვლილება არ განხორციელებულა.



საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან 2 დადგმა დაფუძნებულია ქართულ კლასიკური ნაწარმოებზე, ერთი უცხოურ კლასიკაზე, ხოლო 1 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესაა. ჟანრობრივად ოთხივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. 4 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 28 575 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 21 844 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 6 371 ლარი.

4 პრემიერიდან ერთი დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს, დანარჩენი 3 მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 73-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ ორი სპექტაკლი - „მოგვთა საჩუქარი“ და „შვლის ნუკრის ნაამბობი“ - სულ 24-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 11-ჯერ იყო წარმოდგენილი იყო „გუდული ბაბუ და პატარა უჩა“.

2024 წლის მონაცემებით, ბორჯომის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 5 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 80 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 3 822 ბილეთი და 80 სპექტაკლს დაესწრო 3 897

მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს ორი სპექტაკლი „მოგვთა საჩუქარი“ და „შვლის ნუკრის ნაამბობი“, (24-ჯერ), მათგან „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ გაიყიდა 1264 ბილეთი. ყველაზე ნაკლებად, 7-ჯერ წარმოდგენილი იყო „ლიზიკოს ზღაპარი“, რომელზედაც 242

ბილეთი გაიყიდა. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 11 - დან 14 -მდე.

ბორჯომის თოჯინების თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „შვლის ნუკრის ნაამბობი“- 1 264, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 294 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „ლიზიკოს ზღაპარი“, რომელზედაც 42 ბილეთი ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 52 მაყურებელი (წარმოდგენილი იყო 7-ჯერ).

2024 წელს ბორჯომის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 1 გეოგრაფიულ პუნქტში (ბათუმი) და გამართა 1 წარმოდგენა ფესტივალის ფარგლებში. 2024 წელს თეატრს ერთი საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა ალმაატაში (ყაზახეთი), სადაც მონაწილეობდა თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალში.

2024 წელს ბორჯომის თოჯინების თეატრის 4 პრემიერიდან ოთხივეში დაკავებული იყო დასის დიდი ნაწილი. ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2024 წელს, ბორჯომის თოჯინების თეატრის დასი დატოვა ორმა მსახიობმა: გიორგი ლონდაძემ (42 წლის) და გიორგი ჩოჩნიძემ (40 წლის). დასის შემადგენლობას დაემატა მსახიობი ბაქარ ლომიძე.



ჭუთაისის მელიტონ ბალანჩიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წლის განმავლობაში ჭუთაისის მელიტონ ბალანჩიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2024 წელს ქუთაისის საოპერო თეატრს საპრემიერო წარმოდგენა არ მოუმზადებია.

თეატრის რეპერტუარში ორი სპექტაკლია, ორივე ქართული ოპერა: ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ და ბაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. 2024 წელს თეატრმა გამართა სამი კონცერტი. ჯამში წლის მანძილზე 2 სპექტაკლი და 4 კონცერტი. 2024 წელს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ბილეთები არ გაუყიდა, თუმცა მათ 6 წარმოდგენას დაესწრო 800-მდე მაყურებელი.

2024 წელს თეატრს არ ჰქონია გასტროლები არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დასში რაიმე სახის ცვლილება არ განხორციელებულა.



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან 2 უცხოური თანამედროვე პიესა, 1 ქართული კლასიკური ნაწარმოები და 1 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა. პრემიერებიდან ძირითადად გვხდება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. 4 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 75 529 ლარი, მათგან 50 529 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 25 000 საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება.

4 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 1 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 3 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 31-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „facebook-ის ქვეყანა“ (10-ჯერ), რასაც ერთი ერთეულით ნაკლებით რეიტინგში მიყვება „ხევისბერი გოჩა“. ხოლო ყველაზე ნაკლებად, სულ 5-ჯერ იყო წარმოდგენილი „გონზაგოს მკვლელობა“.

2024 წლის მონაცემებით, მესხიშვილის თეატრის რეპერტუარში 11 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 67 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 4 238 ბილეთი და 67 სპექტაკლს დაესწრო 7 860 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს „face-book-ის ქვეყანა“ (10-ჯერ), ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „ტესტოსტერონი“, ხოლო წლის მანძილზე მხოლოდ 3-ჯერ იყო წარმოდგენილი „შელოცვა რადიოთი“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 4-დან 9-მდე.

მესხიშვილის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „შელოცვა რადიოთი“ 1 037, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 179 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „ტესტოსტერონი“, რომელზედაც 82 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 99 მაყურებელი. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „დაფდაფები ღამით“, რომელზედაც სულ 176 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 214 მაყურებელი.

2024 წელს მესხიშვილის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 4 გეოგრაფიულ პუნქტში (თბილისი, ბათუმი, ზესტაფონი, სენაკი) მათ შორის. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 4 ერთეული. მათგან 3 იყო ფესტივალი, 1 გასტროლი. ასევე თეატრმა სპექტაკლით „ჰელვერის ღამე“ მონაწილეობა მიიღო ქუთაისშივე გამართულ თეატრალურ ფესტივალში.

2024 წელს მესხიშვილის თეატრს არ ჰქონია არც ერთი საერთაშორისო გასტროლი.

2024 წელს მესხიშვილის თეატრში მსახიობთაგან ლიდერი არ გამოკვეთილა, რადგან 4 პრემიერიდან 2 დადგმაში მონაწილეობდა რამდენიმე მსახიობი. მათ შორის, აბელ სოსელია, ელზა სულაძე, იოანე იმედაძე, ნიკა ძნელაძე, სოფიო ჩირაძე, სულხან გოგოლაშვილი.

2024 წელს მესხიშვილის თეატრის დასი არ განახლებულა, შესაბამისად დასში არ მიუღიათ არც ერთი ახალგაზრდა მსახიობი. 2024 წელს დასი დატოვა ორმა მსახიობმა: გიორგი შალამბერიძემ და თეკლა ჯავახიძემ. 2024 წლის მონაცემების მიხედვით, მესხეთის თეატრის დასში ირიცხება 25 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში. ეს მსახიობებია: ლამარა ვაშაკიძე, დალი ბასილაძე, ალექსანდრე ტოროტაძე, გოჩა ნიკოლაძე, ზაზა კილასონია, მაგდანა გერაძე, დავით გაჩეჩილაძე, ანა კოხრიძე, ლელა ლომთაძე, ნანი ნიქაძე, თიკი მოსულიშვილი, მაია სამანიშვილი, ავთანდილ სახამბერიძე, დოდო ტაბატაძე, გიზო ღელეყვა, მაგდა ჩიხლაძე, ანა ჩოგოვაძე, ენდი ძიძავა, ნინო ჭოლაძე, ნიკოლოზ ჯანგავაძე, ნინო არდიშვილი, თამთა გაბუნია, გივი საგინაშვილი, ნანა კუპატაძე. ახალ დადგმებში დაუკავებელ მსახიობთა ასაკი მერყეობს 34 -დან 91 წლამდე.



საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, მათგან 2 დადგმა დაფუძნებულია უცხოური კლასიკური ნაწარმოებზე, დანარჩენი 1 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესაა. სამივე დადგმა სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნება. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 41 150 ლარი, მათგან კერძო სახსრები შეადგენს 19 155 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 21 995 ლარი.

3 პრემიერიდან მხოლოდ 1 დადგმა ეკუთვნის თეატრის კურატორს, დანარჩენი 2 მოწვეული რეჟისორების დადგმულია.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 87-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ცრუპენტელა მელაკუდა“ სულ 44-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 4-ჯერ იყო წარმოდგენილი იყო „შინაგანი ანსამბლი.“ დანარჩენი საპრემიერო სპექტაკლების წარმოდგენების რაოდენობა მერყეობს 4 -დან 39-მდე.

2024 წლის მონაცემებით, ქუთაისის თოჯინების თეატრის რეპერტუარში 17 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 249 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 18 631 ბილეთი და 249 სპექტაკლს დაესწრო 18 857

მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს „ცისფერი კოცონი“ (50-ჯერ), მხოლოდ ორჯერ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „ნამცეცას შობის ზღაპარი“, „ბაბაჯანას ქოშები“ და „მახინჯი იხვის ჭუჭული“. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლები „შინაგანი ანსამბლი“ და „ცრუპენტელა მელაკუდა“ რომელიც 4-ჯერ იყო წარმოდგენილი. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 5 - დან 26 -მდე.

ქუთაისის თოჯინების თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ცისფერი კოცონი“- 3 813, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 3 864 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „ნამცეცას საშობაო ზღაპარი“, რომელზედაც 153 ბილეთი ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 153 მაყურებელი (წარმოდგენილი იყო 2-ჯერ). ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „მახინჯი იხვის ჭუჭული“, რომელზედაც სულ 174 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო დაესწრო 174 მაყურებელი და წლის მანძილზე სულ 2-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 2 გეოგრაფიულ პუნქტში (მესტია, ბათუმი) და გამართა 2 წარმოდგენა. გასვლითი წარმოდგენებიდან 1 იყო ფესტივალი, ხოლო 1 გასტროლი (საიუბილეო საღამო). 2024 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრს საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა 1 ქვეყანაში. პარიზი (საფრანგეთი), სადაც თეატრმა ერთი წარმოდგენა გამართა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში.

2024 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრის 3 პრემიერიდან ორში დაკავებული იყო დასის დიდი ნაწილი. ამიტომაც ლიდერი მსახიობი არ გამოიკვეთა.

2024 წელს, ქუთაისის თოჯინების თეატრს დასს შეემატა 1 მსახიობი, 35 წლის ვლადიმერ ფცქიალაძე. დასი დატოვა 37 წლის მსახიობმა გიორგი ქართველიშვილმა. თეატრის დასის წევრია სამი მსახიობი ნუნუ ქუთათელაძე, მარინე მსხვილიძე და ლევან გაბრიჭიძე, რომელთაც არც ერთ ახალ საპრემიერო დადგმაში არ მიუღიათ მონაწილეობა. მათი ასაკი 63-დან 76 წლამდე მერყეობს.



გესტაფონის უაჯრო ჩხეიძის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 4 პრემიერა, მათგან ოთხივე დადგმა დაფუძნებულია ქართველი ავტორების თხზულებებს. ორი ქართული კლასიკის მიხედვით შექმნილი სპექტაკლია, ერთი თანამედროვე ქართველ ავტორებს ეკუთვნის, ხოლო 1 ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით შექმნილი ინსცენირებაა. ჟანრობრივად არც ერთი მიეკუთვნება კლასიკურ კომედიას და ტრაგედიას. 4 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 90 540 ლარი, მათგან თეატრის საკუთარი სახსრები შეადგენს 29 337,5 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 56 515 ლარი.

4 პრემიერიდან ორი დადგა ერთმა მოწვეულმა რეჟისორმა, ხოლო დანარჩენი 2 ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს.

დადგმული 4 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 27-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „იავნანამ რა ჰქმნა?!“ სულ 12-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი იყო „რწყილი და ჭიანჭველა“ 4-ჯერ. დანარჩენი საპრემიერო სპექტაკლების წარმოდგენების რაოდენობა მერყეობს 4-დან 6-მდე.

2024 წლის მონაცემებით, გესტაფონის თეატრის რეპერტუარში 14 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 31 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 2 149 ბილეთი და 31 სპექტაკლს დაესწრო 48 645 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „თბილი ზღვის ცივი ნაპირი“ (5-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „სათაგური“, „ანტიგონე“, „გათელილი პუტუნები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ნორვეგია დღეს“. სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 2 - დან 4 -მდე.

გესტაფონის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ყვარყვარე თუთაბერი“- 533, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 300 მაყურებელი, თუმცა დამსწრე მაყურებლის რაოდენობით ლიდერობს „რწყილი და ჭიანჭველა“, რომელიც 1 700 მაყურებელმა ნახა, რომელიც წლის განმავლობაში სულ 4-ჯერ იყო წარმოდგენილი. ამ სპექტაკლზე 490 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „გათელილი პუტუნიები“, რომელზედაც 15 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 40 მაყურებელი. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „ნორვეგია დღეს“ რომელზედაც სულ 40 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 70 მაყურებელი და წლის მანძილზე სულ ერთხელ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს გესტაფონის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 3 გეოგრაფიულ პუნქტში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) და გამართა 5 წარმოდგენა. სამი გასვლა იყო თბილისში, 1 რუსთავში, 1 ქუთაისში. გასვლითი წარმოდგენებიდან 2 იყო ფესტივალი, 1 კვირეული, ხოლო 2 გასტროლი. 2024 წელს გესტაფონის თეატრს საერთაშორისო გასტროლი არ ჰქონია, არც საერთაშორისო ფესტივალში მიუღია მონაწილეობა.

2024 წელს გესტაფონის თეატრის 4 პრემიერიდან სამში დაკავებული იყო: გიორგი გლოველი, თემურ კიკნაველიძე, თეიმურაზ ქველიაშვილი და ბადრი ტაბატაძე. ქალ მსახიობთაგან 3 ახალ დადგმაში მიიღო მონაწილეობა ნინო აბესაძემ.

2024 წელს გესტაფონის თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. თეატრში მხოლოდ ერთ მსახიობს, გიორგი ჩაჩუას (33 წლის) არ მიუღია მონაწილეობა 4 პრემიერიდან არც ერთში.



ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 3 პრემიერა, სამივე მათგანი დაფუძნებულია თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე. ჟანრობრივად პიესები მრავალფეროვანია. 3 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 64 9905 ლარი. მათგან საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 30 405 ლარს, მუნიციპალური 19 500 ლარს.

3 პრემიერიდან სამივე ახალი დადგმა მოწვეულმა რეჟისორებმა განახორციელეს.

დადგმული 3 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 5-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 3 -ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „ქალაქის გული“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ იყო წარმოდგენილი „სტაფილო ანუ მესამე კატეგორიის მკვლეელი“ და „სამი ჰალსტუხიანი და ერთი ანგელოზი“.

2024 წლის მონაცემებით, ჭიათურის თეატრის რეპერტუარში 10 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 20 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 1 251

ბილეთი, ხოლო დაესწრო 2 261 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს სპექტაკლი „ბოშები“ (4- ჯერ), რომელზედაც 220 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „წითელქუდა და ბრემენელი მუსიკოსები“, „ჩექმებიანი კატა“, „უბრალო ამბავი“, „სამი ჰალსტუხიანი და ერთი ანგელოზი“. მათგან ყველაზე ნაკლები ბილეთი (38 ერთეული) გაიყიდა სპექტაკლზე „წითელქუდა და ბრემენელი მუსიკოსები“, ხოლო ყველაზე მეტი, (98 ერთეული) სპექტაკლზე „სამი ჰალსტუხიანი და ერთი ანგელოზი“.

ჭიათურის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „დარისპანის გასაჭირი“ (279 ბილეთი). ყველაზე დაბალი გაყიდვები ჰქონდა სპექტაკლს „წითელქუდა და ბრემენელი მუსიკოსები“, რომელზედაც 38 ბილეთი გაიყიდა, მაგრამ მას 72 მაყურებელი დაესწრო. სპექტაკლი 2024 წელს მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს ჭიათურის თეატრს საერთაშორისო გასტროლები არ ჰქონია. თეატრმა მხოლოდ საქართველოს 2 გეოგრაფიულ პუნქტში გამართა წარმოდგენა. 1 საჩხერეში, 1 ქუთაისში. მათ შორის ერთი გასტროლია, მეორე ფესტივალი.

2024 წელს, ჭიათურის თეატრის საპრემიერო 3 დადგმიდან ორში მონაწილეობდნენ: მარიამ გაბაძე, ანზორ ცაბაძე, არჩილ ხვედელიძე, გიორგი ჩაჩანიძე, კოტე კახიშვილი. 2024 წლის მონაცემებით, ჭიათურის თეატრის დასში 3 მსახიობია, რომლებიც არც ერთ ახალ დადგმაში არ მონაწილეობდნენ. ესენია როდერი ჩაჩანიძე (86 წლის), იზა ჯიშკარიანი (87 წლის), იური ბიწაძე (81 წლის).



ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

2024 წლის განმავლობაში ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის შენობაში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე არ არის დასრულებული.

2024 წელს თეატრმა მაცურებელს შესთავაზა 5 პრემიერა, მათგან 1 მსოფლიო კლასიკიდან, 1 უცხოური თანამედროვე პიესა, 1 ქართული კლასიკური ნაწარმოები და 2 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა. ჟანრობრივად ამ წლის რეპერტუარი საკმაოდ ჭრელია და მრავალფეროვანი, რადგან პრემიერებიდან გვხვდება როგორც კომედიები, ისე დრამები და სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. 5 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 49 668 ლარი, მათგან 19 668 თეატრის საკუთარი სახსრებია, ხოლო 30 000 მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

5 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 2 სპექტაკლი, ხოლო დანარჩენი 3 სხვადასხვა რეჟისორმა.

დადგმული 5 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 45-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „სამანიშვილის დედინაცვალი“ (16-ჯერ), ხოლო ყველაზე ნაკლებად „ინსპექტორის ვიზიტი“ – მხოლოდ 2-ჯერ. აღსანიშნავია, რომ თეატრს არ გააჩნია საკუთარი სტაციონარი და თეატრი წარმოდგენებს მართავს კულტურის ცენტრში.

2024 წლის მონაცემებით, ზუგდიდის თეატრის რეპერტუარში 14 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 44 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 3 090 ბილეთი და 44 სპექტაკლს დაესწრო 3 688 მაცურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „სამანიშვილის დედინაცვალი“ (8-ჯერ), ხოლო მხოლოდ თითოჯერ

იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „კატოს ნატვრა“, „ყვავილები“ და „შაშვი შაშვი მაყვალი“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 2-დან 8-მდე.


ზუგდიდის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „სამანიშვილის დედინაცვალი“ 948, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 200 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „აბუ და ბე“, რომელზედაც სულ გაიყიდა 19 ბილეთი.

2024 წელს ზუგდიდის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 5 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ხობი, ფოთი, ზესტაფონი) მათ შორის, 2-ჯერ თბილისში და 2-ჯერ ფოთში. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 7 ერთეული. მათგან 1 იყო ფესტივალი, 6 გასტროლი.

2024 წელს ზუგდიდის თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლიც. ლევილში (საფრანგეთი) თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „სამშობლო“.

5 პრემიერიდან 3 ახალ დადგმაში მონაწილეობდა ზურაბ ლაშხია და კობა მატკავა, ხოლო 2 პრემიერაში მიიღეს მონაწილეობა გიგა აბულაძემ, მერაბ კაკალიამ, გიორგი ქობალიამ, ირაკლი ჯიშკარიანმა. ხოლო ქალ მსახიობთაგან 2024 წელს გორის თეატრში ლიდერის პოზიცია უჭირავს ნანა ბუკიასა და სალომე ბუღაძეს, რომლებმაც 2 ახალ დადგმაში მიიღეს მონაწილეობა.

2024 წელს გორის თეატრის დასს შეემატა მსახიობები: გიგა აბულაძე, ანა ბერელაშვილი, ირაკლი სამუშია. საკუთარი განცხადების საფუძველზე თეატრი დატოვა მსახიობმა მარინა ბურდულმა. თეატრის დასში ირიცხება 2 მსახიობი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ თეატრის ახალ დადგმებში (გიორგი კაკალაშვილი, გიორგი ჩაჩუა), მათი ასაკი მერყეობს 30 -დან 33 წლამდე.



სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან 1 დაფუძნებულია ქართულ კლასიკურ მწერლობაზე, ხოლო 1 უცხოურ კლასიკურ ზღაპარზე. ჟანრობრივად სპექტაკლები ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა 85 570 ლარი დახარჯა, მათგან სამინისტროს დაფინანსებაა 47 000 ლარი, მუნიციპალური 20 000 ლარია და კერძო დაფინანსება შეადგენს 18 570 ლარს.


9 პრემიერიდან ორივე დადგმა ეკუთვნის თეატრის ხელმძღვანელს.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 30-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ 22-ჯერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი - „ჩიპოლინოს თავგადასავალი“, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 8-ჯერ „კაცია-ადამიანი?!“.

2024 წლის მონაცემებით, სენაკის დრამატული თეატრის რეპერტუარში 9 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 43 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 7 465 ბილეთი, ხოლო დაესწრო 7 535 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოდგინეს სპექტაკლი „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ (15-ჯერ), რომელზედაც 3 480 ბილეთი გაიყიდა. ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი შემდეგი სპექტაკლები: „პროლოგი ჩემი წარსულია“, „ჰარპაგონი“, „რომეო და ჯულიეტა“, „კაცია ადამიანი?!“. ამ სპექტაკლებიდან 10 ბილეთი გაიყიდა წარმოდგენაზე „პროლოგი ჩემი წარსულია“, ხოლო ყველაზე მეტი, 295 ბილეთი სპექტაკლზე „კაცია-ადამიანი?!“.

2024 წელს სენაკის თეატრს გასტროლები არ ჰქონია ქვეყნის შიგნით, მხოლოდ 1 საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა დასს ლევილში (საფრანგეთი).

ვინაიდან თეატრმა 2024 წელს მხოლოდ ორი პრემიერა გამართა და დაის შემადგენლობა არა არის მრავალრიცხოვანი, მსახიობი ლიდერები არ გამოკვეთილან. 2024 წელს თეატრის დასს შეემატა მსახიობი ეთერ მაღლაკელიძე (43 წლის). თეატრის საპრემიერო წარმოდგენებში არ მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მსახიობი გულნარა მაშავა (83 წლის).



ფოჩის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 2 პრემიერა, მათგან 1 უცხოური თანამედროვე ავტორის პიესის მიხედვით დაიდგა და 1 თანამედროვე ქართველი ავტორის რომანის მიხედვით. ჟანრობრივად ერთი კომედიას მიეკუთვნება, მეორე ფანტასმაგორიას. პრემიერების მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 43 010, 70 ლარი, სადადგმო ხარჯი მთლიანად საქართველოს კულტურის სამინისტრომ გასწია.

2 პრემიერიდან თეატრის ხელმძღვანელმა დადგა მხოლოდ 1 სპექტაკლი, ხოლო მეორე მოწვეულმა რეჟისორმა.

დადგმული 2 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 15-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „ანას მომენტი“ – 8 - ჯერ, ხოლო „გაუმარჯოს ბუშონს“ – 7 - ჯერ.

2024 წლის მონაცემებით, ფოჩის თეატრის რეპერტუარში 9 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 58 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 2 254 ბილეთი და 58 სპექტაკლს დაესწრო 7 299 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ანას მომენტი“ (18-ჯერ), ხოლო მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „სასტუმროს ბარში“, ხოლო წლის მანძილზე მხოლოდ 4-ჯერ იყო წარმოდგენილი „ფიროსმანი“. სხვა სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა წელიწადში მერყეობს 6-დან 10-მდე.


ფოჩის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ანას მომენტი“ – 499, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 1 686 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „სასტუმროს ბარში“, რომელზედაც 30 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 33 მაყურებელი. ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „ქარიშხალი“, რომელზედაც სულ 134 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 456 მაყურებელი.

2024 წელს ფოთის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 2 გეოგრაფიულ პუნქტში (სიღნაღი, თბილისი) მათ შორის. გასვლითმა წარმოდგენებმა საქართველოში შეადგინა 4 ერთეული. მათგან 2 იყო ფესტივალი, ხოლო 2 გასტროლი.

2024 წელს ფოთის თეატრს ჰქონდა საერთაშორისო გასტროლი 1 ქვეყანაში, თეატრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში თალდიყურღანში (ყაზახეთი), სადაც 2 სპექტაკლი „ანას მომენტი“ და „ქარიშხალი“ წარმოადგინა.

2024 წელს ფოთის თეატრში მსახიობთაგან ლიდერი არ გამოიკვეთა, რადგან მომზადებულ 2 პრემიერაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა მსახიობები.

2024 წელს ფოთის თეატრის დასში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. ამ წელს არც ერთ მსახიობს არ დაუტოვებია თეატრი და არც განახლებულა ახალი კადრებით.



ოზურგეთის ალექსანდრე ნაწუნაშას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

2024 წელს თეატრმა მაყურებელს შესთავაზა 6 პრემიერა, მათგან 2 დადგმა დაფუძნებულია უცხოური კლასიკური ნაწარმოებზე, 1 ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშია, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს ინსცენირებებს. ჟანრობრივად დადგმული სპექტაკლები მიეკუთვნება დრამას, 2 კი ზღაპარია. 6 პრემიერის მომზადებაზე თეატრმა დახარჯა 126 015,35 ლარი, მათგან მუნიციპალური

სახსრები შეადგენს 39 036 ლარს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებაა 86 979,35 ლარი.

6 პრემიერიდან 4 დადგმას ხელმძღვანელობდა თეატრის ხელმძღვანელი, 2 კი მოწვეული რეჟისორის დადგმულია.

დადგმული 6 პრემიერა წლის განმავლობაში გათამაშდა 45-ჯერ, მათგან ყველაზე მეტჯერ „მებადური და ოქროს თევზი“ სულ 12-ჯერ, ხოლო ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი იყო „უბედურება“ 5-ჯერ. დანარჩენი საპრემიერო სპექტაკლების წარმოდგენების რაოდენობა მერყეობს 8-დან 10-მდე.

2024 წლის მონაცემებით, ოზურგეთის თეატრის რეპერტუარში 15 სპექტაკლია, წლის განმავლობაში თეატრმა 152 წარმოდგენა გამართა. ჯამში წლის განმავლობაში გაიყიდა 24 936 ბილეთი და 152 სპექტაკლს დაესწრო 29 318 მაყურებელი. რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან, 2024 წელს, ყველაზე მეტჯერ წარმოადგინეს „ექვთიმე“ (25-ჯერ), მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი „ილია თანამდევნი სული“ წლის ბოლოს ათენში, სადაც გაიმართა საპრემიერო წარმოდგენა, ხოლო სპექტაკლის პრემიერა საქართველოში შედგა 2025 წელს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი იყო ორი სპექტაკლი „ფატი“ და „უბედურება“ (სულ 5-ჯერ). სპექტაკლების ჩვენების რაოდენობა მერყეობს 6 - დან 16 -მდე.

ოზურგეთის თეატრის 2024 წლის რეპერტუარიდან ყველაზე მეტი ბილეთი გაიყიდა სპექტაკლზე „ექვთიმე“- 8 200, ამ წარმოდგენას ჯამში დაესწრო 10 000 მაყურებელი. ყველაზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა სპექტაკლს „ფატი“, რომელზედაც 300 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო ამდენივე მაყურებელი (წარმოდგენილი იყო 5-ჯერ). ამ რეიტინგში მეორე ადგილზეა სპექტაკლი „ცის კარი“ რომელზედაც სულ 660 ბილეთი გაიყიდა და დაესწრო 720 მაყურებელი და წლის მანძილზე სულ 15-ჯერ იყო წარმოდგენილი.

2024 წელს ოზურგეთის თეატრმა გასტროლები გამართა საქართველოს 2 გეოგრაფიულ პუნქტში (ფოთი, ბათუმი) და გამართა 3 წარმოდგენა. მათ შორის 2-ჯერ ბათუმში, ერთხელ ფოთში. გასვლითი წარმოდგენებიდან 1 იყო ფესტივალი, ხოლო 2 გასტროლი. 2024 წელს ოზურგეთის თეატრს საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა 2 ქვეყანაში. ათენში (საბერძნეთში) წარმოადგინეს 2 სპექტაკლი, ხოლო 1 ლევილში (საფრანგეთი).

2024 წელს ოზურგეთის თეატრის 6 პრემიერიდან ოთხში დაკავებული იყო: გიორგი დოლიძე, გიორგი ჩავლეიშვილი, ჯაბა მორჩილაძე, ასევე ოთხ სპექტაკლში იყო დაკავებული მსახიობები: მარიკა ასათიანი, შორენა გვეტაძე.

2024 წელს, საკუთარი განცხადების საფუძველზე თეატრი დატოვეს მსახიობებმა: ცი ცინო ბუცხრიკიძემ, ირაკლი ურუშაძემ, შორენა სიხარულიძემ.



კულტურის სამინისტრო

